,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21.06.2019 წელი, ს.კ. 210020010.35.114.016422) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს”.

მუხლი 2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია თანახმად დანართისა (დანართი 1)“.

მუხლი 3. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მუხლი 2. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზაცია-დაწესებულებების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა თანახმად დანართისა (დანართი 2)“.

მუხლი 4. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მუხლი 3. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის გადახდის ქვითრის ტიპური ფორმა თანახმად დანართისა (დანართი 3).

მუხლი 5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.